კავკასიის უნივერსიტეტი
კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	
საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამა	
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ინგლისურ ენაზე	
PHD Program in International Relations	
უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური	
დოქტორანტურა	
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი	
აკადემიური	
სწავლების ენა	
ქართული	
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი	
ქართულად:	საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი (0705)
ინლისურად:	Doctor of International Relations (0705)
სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი	საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი, პროფესორი სერგი კაპანაძე
პროგრამის დამტკიცების თარიღი	
დამტკიცებულია კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანებით: N01/01-15, 08.04.2020. განახლებულია 2021 წლის 9 მარტს, კავკასიის უნივერსიტეტის ბრძანებით #01/01-17.	

საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამის მოცულობა კრედიტებით	

საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი მოიცავს 60 ECTS კრედიტს და შედგება სასწავლო კურსებისა (30 კრედიტი) და სწავლება-ასისტირების კომპონენტისგან (30 კრედიტი). კვლევითი კომპონენტი მოიცავს სადოქტორო დისერტაციას, რომლის შესრულება ხორციელდება 2 წლის (4 სემესტრი) განმავლობაში.
სადოქტორო პროგრამის სტანდარტული ვადა შეადგენს 3 წელს. სასწავლო წელი აგებულია სემესტრული პრინციპით და მოიცავს შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრებს. სემესტრი მოიცავს 20 კალენდარულ კვირას, შესაბამისად, სასწავლო წელი დაგეგმილია 40 კალენდარულ კვირაზე. სასწავლო წლის განმავლობაში დასაშვებია 60-ზე ნაკლები კრედიტების დაგროვება.

1 ECTS კრედიტი უდრის 25 საათს, რაც მოიცავს, როგორც დოქტორანტის საკონტაქტო დატვირთვის დროს (ლექცია, სემინარი, პრაქტიკუმი, ხელმძღვანელთან კონსულტაცია და სხვა), ასევე მისი დამოუკიდებელი მუშაობისათვის განკუთვნილ დროს (სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა, თემის აქტუალურობის დასაბუთება, კვლევა).
პროგრამის სტანდარტული ვადის ამოწურვის შემდეგ აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტს უფლება აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მიზნით სწავლა განაგრძოს დამატებითი სემესტრების (არაუმეტეს 4 სემესტრი) განმავლობაში, სტუდენტის სტატუსის შენარჩუნებით.

საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	

საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს:

- მაგისტრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს (უნდა წარმოადგინოს აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი აკრედიტირებული უმაღლესი სასწავლებლიდან)
- მინიმუმ 2 წლის სამუშაო გამოცდილება ან/და 2.5-ზე მეტი GPA სამაგისტრო საფეხურის ნებისმიერ სპეციალობაზე (სასურველია, პოლიტიკური მეცნიერებები, საერთაშორისო ურთიერთობები, იურუსპრუდენცია, ევროპული კვლევები, საჯარო მმართველობა, ეკონომიკა და სხვა შესაბამისი სპეციალობები)

დოქტორანტურაში ჩასარიცხად კანდიდატს ევალება:

- კავკასიის უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის სკოლის მიმღებ კომისიასთან გასაუბრების წარმატებით გავლა;
- სამოტივაციო წერილის და კურიკულუმ ვიტას ჩაბარება კომისიისთვის;
- წიგნის ან სამეცნიერო სტატიის 1-2 გვერდიანი მიმოხილვა-ანალიზი (აპლიკანტმა უნდა მიმოიხილოს ნებისმიერი წიგნი ან საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატია საერთაშორისო ურთიერთობების სფეროდან, რომელიც მან ბოლო დროს წაიკითხა. მათ უნდა აღნიშნონ რას ეხებოდა, რა ისწავლეს მისგან და რატომ მოეწონათ /არ მოეწონათ და რამდენად რელევანტური იყო გამოყენებული კვლევის მეთოდები,ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- სადოქტორო კვლევის წინასწარი მონახაზი (რომელიც შემდგომ შესაძლებელია შეიცვალოს);
- საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა ინგლისური ენის ცოდნა მინიმუმ B2 დონეზე, ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად, რაც უნდა დასტურდებოდეს წარმოდგენილი სერტიფიკატით (ენის ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატის არქონის შემთხვევაში ინიშნება გამოცდა);
- სერტიფიკატის წარდგენისგან კანდიდატი განთავისუფლდება, თუ მას ინგლისურ ენაზე ნასწავლი აქვს საზღვარგარეთის უნივერსიტეტში (მინიმუმ 1 სემესტრი), ან დასრულებული აქვს ინგლისურენოვანი საბაკალავრო, ან სამაგისტრო პროგრამა;
- მიღების პირობები მტკიცდება სკოლის საბჭოს მიერ და ქვეყნდება განაცხადების მიღების დროს.

საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამის მიზანი	

პროგრამა შეესაბამება კავკასიის უნივერსიტეტისა და კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლის მისიაში ასახულ მიზნებს და უზრუნველყოფს კვლევებზე ორიენტირებული სწავლების და სწავლის დანერგვით ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრებზე კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური, დემოკრატიის იდეალების მიმდევარი სპეციალისტების მომზადებას და ამ სფეროში საზოგადოების საგანმანათლებლო

მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

პროგრამა ამზადებს საერთაშორისო ურთიერთობების მაღალი დონის მკვლევარებს და ექსპერტებს, რომელთაც შეეძლებათ მეცნიერული მიდგომებით რეგიონში და მსოფლიოში მიმდინარე პროცესების კვლევა. პროგრამის მიზანია პროგრამის დამთავრების შემდეგ დოქტორანტმა შეძლოს სიღრმისეული კვლევის ჩატარება და საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში ახალი ცოდნის შექმნა, ასევე სწავლება. საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამა შემუშავებულია ოქსფორტის უნივერსიტეტის და ამსტერდამის, ვარშავის და ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტების შესაბამის პროფესორებთან კონსულტაციების შედეგად.

საქართველოში თანდათან იზრდება მოთხოვნა საერთაშორისო ურთიერთობების თეორიულ დონეზე მცოდნე კადრებზე, რომლებიც კვლევებზე იქნებიან ორიენტირებული. ასეთი კვალიფიციური სპეციალისტების არსებობა მნიშვნელოვანია როგორც სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებში, ისე სახელმწიფო ორგანოებში, უმაღლესი განათლების დაწესებულებებში, ასევე რეგიონული და საერთაშორისო მასშტაბის საერთაშორისო ორგანიზაციებში.

სადოქტორო პროგრამის მიზანია თეორული საფუძველი შეუქმნას და განუვითაროს სასწავლო-სამეცნიერო-კველვითი საქმიანობისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები და მისცეს მათ დარგისთვის საჭირო შესაბამისი თეორიული ცოდნა. სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულს ექნება შესაძლებლობა გამოიყენოს თანამედროვე კვლევითი მეთოდები და საუკეთესო სწავლების მეთოდები. ამასთან, მოახდინოს მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის სინთეზი. მოცემული პროგრამის წარმატების განმსაზღვრელი ერთ-ერთი ფაქტორია უნივერსიტეტში მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის კომბინირება გამოცდილების მიღების დროს. კერძოდ, დოქტორანტებს ექნებათ შესაძლებლობა სხვადასხვა მიმართულებით დაიწყონ მეცნიერული სამუშაოები და გამოავლინონ თავიანთი პროფესიონალიზმი, მიიღონ ადამიანებთან საქმიან გარემოში ურთიერთობის გამოცდილება, რაც გარკვეულწილად მათი წარმატებული სამეცნირო და აკადემიური კარიერის საწყისი საფეხური იქნება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამა დოქტორანტს:

- განუვითარებს საერთაშორისო ურთიერთობებში არსებული აქტუალური პრობლემების მეცნიერული გააზრებისა და შეფასების უნარს, რათა უზრუნველყოს არსებული ცოდნის განახლება და მისი იმპლემენტაცია კვლევის პროცესში;
- საერთაშორისო ურთიერთობების პრობლემატიკის თეორიული კუთხით გააზრების საფუძველზე ხელს უწყობს მაღალი ხარისხის მონოგრაფიული ხასიათის ნაშრომის შექმნაში;
- სამეცნიერო და აკადემიურ წრეებთან დინამიკური კომუნიკაციის ჩამოყალიბებით ხელს უწყობს ცოდნის მუდმივი განახლების უნარის გამომუშავებას;
- გამოუმუშავებს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში შემავალი დარგობრივი

პრობლემების გადაწყვეტის, თანამედროვე კონცეპტუალური მოდგომებისა და მეთოდების გამოყენებით კვლევის დამოუკიდებლად ორგანიზებისა და განხორციელების უნარს; - აძლევს საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებზე სიღრმისეულს და სისტემურ ცოდნას; - გამოუმუშავებს მიღებული ცოდნის ეფექტურად გამოყენების უნარს, ინსტიტუციებში კონკრეტული ღონისძიებების გასატარებლად და პოლიტიკის დონეზე გადაწყვეტილებების მისაღებად; - დოქტორანტი გაითავისებს და დაიცავს პროგრესულ დემოკრატიულ ღირებულებებს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში.

საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგები	

- სტუდენტები მიიღებენ ახალ ღრმა ცოდნას საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინაში, ასევე თეორიული კუთხით მიმდინარე დებატების შესახებ.
- სტუდენტი ასევე მიიღებს პრაქტიკის უახლეს მიღწევებზე დაფუძნებულ ცოდნას, საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში პრაქტიკული კვლევის მეთოდებისა და მეთოდოლოგიის მყარ ცოდნას, რაც არსებული ცოდნის გაფართოებისა თუ ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა,
- სტუდენტი შეისწავლის კვლევის თანამედროვე ინოვაციურ მეთოდებს და ხერხებს; შეიმუშავებს სწავლების თანამედროვე პროგრესულ მეთოდებს, დაეუფლება საერთაშორისო ურთიერთობების, საგარეო პოლიტიკის და კონფლიქტების მოგვარების თეორიების ფარგლებში არსებულ ფუნდამენტურ ცოდნას, ასევე საერთაშორისო ურთიერთობებისთვის საჭირო კვლევის მეთოდებს
- არსებული პრობლემების მიკრო და მაკრო დონეზე გამოვლენის, ანალიზის და გადაჭრის შესახებ.

კურსდამთავრებული შეძლებს:

- დამოუკიდებლად დაგეგმოს და განახორციელოს ფუნდამენტური კვლევა საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში
- მოახდინოს საკუთარი კვლევის შედეგების დემონსტრირება
- მოახდინოს კვლევის გადაქცევა საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში გამოქვეყნებად მასალად
- მოამზადოს ახალი სალექციო კურსები თავისი კვლევიდან და სადისერტაციო ნაშრომიდან გამომდინარე
- კურსდამთავრებული შეძლებს ახალი ცოდნის გენერირებას და მის გაანალიზებას, ასევე საერთაშორისო ურთიერთობებში მიმდინარე პროცესების და ამ სფეროში არსებული თანამედროვე კვლევების კრიტიკულად შეფასებას

- სტუდენტს გამოუმუშავდება რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზის, სინთეზის და შეფასების უნარი, ინფორმაციის მოპოვების, ანალიზისა და სინთეზის უნარი, კვლევის დაგეგმვისა და განხორციელების უნარი, და პრობლემის ანალიზისთვის შესაბამისი თვისობრივი კვლევის მეთოდის შერჩევის და გამოყენების უნარი.
- პროგრამის კურსდამთავრებულებს შეეძლებათ ზუსტად და ეფექტურად წარმოადგინონ თავიანთი მოსაზრებები და კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები
- პროგრამის კურსდამთავრებულებს ასევე შეეძლებათ მიიღონ მონაწილეობა თავისი კვლევის საგნის, ასევე უფრო ფართოდ საერთაშორისო ურთიერთობების ნებისმიერი მნიშვნელოვანი საკითხის ირგვლივ მიმდინარე დებატებში, საერთშორისო ღონისძიებებსა, თუ დისკუსიებში.
- კურსდამთავრებულს უახლესი თანამედროვე მეთოდების შესწავლით და გამომუშავებული უნარების დახმარებით შეუძლია საერთაშორისო ურთიერთობებთან დაკავშირებული პრობლემების კვლევა და ამ პერიოდის სპეციფიკური პირობების შესატყვისი დასკვნების, ღონისძიებებისა და რეკომენდაციების შემუშავება.
- საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში არსებული პრობლემატიკის გასაცნობიერებლად და შესასწავლად, კონკრეტული მიმართულებით შესაბამისი მასალის მოძიება, გაცნობა, ანალიზი და გამოყენება;
- ცოდნის შემდგომი გაფართოების მიზნით, სწავლის პროცესის დამოუკიდებლად დაგეგმვა და წარმართვა.
- კურსდამთავრებულს მიღებული ცოდნისა და გამომუშავებული კვლევის უნარის შედეგად შეუძლია ამ პროგრამის ფარგლებში არსებულ ღირებულებათა (შედგენილი პროგრამა უზრუნველყოფს დოქტორანტის წინაშე წაყენებული მოთხოვნების სრულფასოვნად რეალიზაციას, რის საშუალებასაც მისი სადოქტორო ნაშრომი იძლევა) დასამკვირდრებლად მოახდინოს შესაბამის სფეროში და პედაგოგიური მოღვაწეობის პროცესში თეორიული და მეთოდოლოგიური ასპექტების ჩამოყალიბება, და ამ ღირებულებების დასამკვიდრებლად ინოვაციური მიდგომების გამოყენება მაღალეთიკური აზროვნების დამკვიდრების პროცესში. სტუდენტს უყალიბდება პატივისცემა სამეცნიერო ღირებულებების მიმართ, გამოირიცხება პლაგიატი და მაღალ დონეზე იქნება დაცული სამეცნიერო ეთიკა. პროგრამის ფარგლებში სტუდენტი მონაწილეობს ლიბერალური ღირებულებების განმტკიცების პროცესში და ისწრაფვის მათ დასამკვიდრებლად.

დასაქმების სფეროები:	

საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორს შეუძლია დაიკავოს შესაბამისი თანამდებობა სახელმწიფო სტრუქტურებში და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, დადგენილი ნომენკლატურის მიხედვით. ამასთან საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორები შეძლებენ პედაგოგიურთან ერთად, სამეცნიერო-კვლევითი და საექსპერტო საქმიანობის განხორციელებას, ასევე კონკურენტუნარიანები იქნებიან პროფესიაში მაღალი პოზიციების საპასუხისმგებლო თანამდებობების დასაკავებლად.

კავკასიის უნივერსიტეტი დოქტორანტურის კურსდამთავრებულთან აფორმებს პედაგოგიური საქმიანობის განხორციელების შესახებ სამწლიან ექსკლუზიურ შრომით ხელშეკრულებას. გარდა ამისა, პროგრამის კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს შემდეგი მიმართულებებით: ➢ საგანმანათლებლო დაწესებულებები ➢ სამეცნიერო და კვლევითი დაწესებულებები ➢ ანალიტიკური ცენტრები ➢ საერთაშორისო ორგანიზაციები

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა
საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით შემოთავაზებული სასწავლო კურსების დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება. შეფასების მიზანია იმის გარკვევა, თუ რამდენად არის მიღწეული სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგები. სტუდენტთა შეფასება არის მრავალკომპონენტიანი და უზრუნველყოფს კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას, რაც მიიღწევა კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმებისა და რუბრიკების გამოყენებით. სტუდენტთა შეფასება ეფუძნება შეფასების ოთხ ძირითად პრინციპს: ობიექტურობა, სანდოობა, ვალიდურობა, გამჭვირვალობა. სტუდენტთა შეფასებისას გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. განმსაზღვრელი შეფასების მიზანია სტუდენტის მიღწევის ზუსტი შეფასება. იგი აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს სტუდენტის მიღწევის დონეს სასწავლო კურსით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებით. განმავითარებელი შეფასება სტუდენტის განვითარებაზეა მიმართული. იგი აწვდის სტუდენტს მიღწევებთან დაკავშირებით უკუკავშირს. შეფასება 100-ქულიანი სისტემით მიმდინარეობს. შეფასების სისტემა უშვებს: ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას: ა.ა) (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა; ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; ა.ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა; ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას: ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი ახლიდან აქვს შესასწავლი. სტუდენტს კრედიტი ენიჭება საბოლოო შეფასების საფუძველზე, რომელიც შედგება შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულათა ჯამისაგან. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს, რომელთათვისაც შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) საბოლოო შეფასებაში განსაზღვრულია ხვედრითი წილი და დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. კერძოდ, მაქსიმალური 100 ქულიდან შუალედური შეფასების ხვედრითი წილი არის 70 ქულა, ხოლო დასკვნითი შეფასების - 30 ქულა. შუალედური და დასკვნითი შეფასებების ორივე ფორმაში დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. შუალედურ შეფასებებში განსაზღვრულია შეფასების კომპონენტები, რომლებიც ჯამურად შეადგენენ 70 ქულას. შეფასების თითოეული კომპონენტისთვის, შეფასება ეყრდნობა წინასწარ განსაზღვრულ სწავლების მიზანსა და დავალების ფორმაზე ორიენტირებულ, ზუსტ, მკაფიო კრიტერიუმებს და მასზე დაყრდნობით შემუშავებულ შეფასების სქემებს/რუბრიკებს. სტუდენტმა შუალედურ შეფასებებში ჯამურად უნდა დააგროვოს 70 ქულის სულ მცირე 59%, რომ მოიპოვოს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება. სტუდენტს დასკვნითი/დამატებითი გამოცდა ჩაბარებულად ეთვლება, თუ მან მიიღო 30 ქულის სულ მცირე 60%.

სტუდენტი უფლებამოსილია გავიდეს დამატებით გამოცდაზე, თუ იგი ვერ გადალახავს დასკვნითი გამოცდის მინიმალურ კომპეტენციის ზღვარს. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს აკადემიური კალენდრით დადგენილ პერიოდში, დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღის ვადაში.

საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის ან შეფასების რომელიმე ფორმაში (შუალედური/დასკვნითი) მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ვერ გადალახვის შემთხვევაში სტუდენტს უფორმდება F-0 ქულა.

სადოქტორო ნაშრომის შეფასებისათვის გამოიყენება შეფასების შემდეგი სისტემა:

ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი; 91.00–100.00 ქულა.

ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება; 81.00–90.00 ქულა.

გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება; 71.00–80.00 ქულა.

დ) საშუალო (bene) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს; 61.00–70.00 ქულა.

ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს; 51.00–60.00 ქულა.

ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficienter) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს; 41.00–50.00 ქულა.

ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს. 40.00 ქულა და ნაკლები

დისერტაციაში სტუდენტი დადებით შეფასებას იღებს, თუ იგი გადალახავს მინიმალური კომპეტენციის ზღვარს - შეფასების ციფრობრივი ეკვივალენტის მიხედვით, შეფასების მაქსიმალური ქულის 60%-ს. დისერტაციაში 41-59 ქულის მიღების შემთხვევაში, დოქტორანტს უფლება ეძლევა ერთი წლის განმავლობაში წარადგინოს გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი. დოქტორანტის განცხადება განმეორებითი დაცვის მოთხოვნის შესახებ სკოლის სადისერტაციო საბჭოს უნდა წარედგინოს შედეგის გამოცხადებიდან 1 თვის განმავლობაში, ხოლო 40-ზე ნაკლები ქულის მიღების შემთხვევაში, დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.დეტალური ინფორმაცია დისტერტაციის მომზადებისა და დაცვის შესახებ მოცემულია კავკასიის უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის სკოლის დოქტორანტურის დებულებაში.

სწავლის შედეგების მიღწევის ფორმები და მეთოდები
☒ ლექცია ☒ სემინარი ☒ სამეცნიერო ნაშრომების ანალიზი ☒ პროექტი/რეფერატი ☒ დამოუკიდებელი მუშაობა ☒ სადოქტორო დისერტაცია /ნაშრომი
სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, დისკუსია/დებატების მეთოდი, შემთხვევის ანალიზის (Case study) მეთოდი, ახსნა–განმარტებითი მეთოდი, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების (PBL) მეთოდი, ევრისტიკული მეთოდი, გონებრივი იერიშის მეთოდი, სწავლების დედუქციური მეთოდი, ანალიზის მეთოდი, სინთეზის მეთოდი და სხვა. სწავლება-სწავლის პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებენ და ანაცვლებენ. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახული იქნება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პირები
კავკასიის უნივერსიტეტის 1 პროფესორი, 2 აფილირებული ასოცირებული პროფესორი; 3 მოწვეული ლექტორი.

საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამის სხვა რესურსები
კავკასიის უნივერსიტეტს და კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები საქართველოსა და უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებთან, აგრეთვე სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან. **პარტნიორი უმაღლესი სასწავლებლები:** ➢ თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი ➢ ფარლი დიკენსონის უნივერსიტეტი (აშშ), 14.02.2019 ➢ ვარშავის უნივერსიტეტი (პოლონეთი), 29.01.2019 ➢ ლვოვის კომერციის აკადემია (უკრაინა), უნივერსიტეტებს შორის, უვადო ➢ შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი ➢ ა(ა)იპ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი **პარტნიორი ორგანიზაციები:** ➢ თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა (DIB) ➢ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტი ➢ ა(ა)იპ საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი (რონდელის ფონდი) (ერაზმუს + პროექტ PESTUGE ფარგლებში)

- ა(ა)იპ საქართველოს რეფორმების ასოციაცია
- შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი (ერაზმუს + პროექტ PESTUGE ფარგლებში)
- საქართველოს პარლამენტი (ერაზმუს + პროექტ PESTUGE ფარგლებში)
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო
- საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
- მუნიციპალური განვითარების ფონდი
- ააიპ ევროპის სახლი
- ააიპ ფონდი კავკასიის უნივერსიტეტი
- საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
- ლიბერალური ხედვების ასოციაცია
- ააიპ დემოკრატიის ჟანგბადი
- თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
- ახალგაზრდობის განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრი
- სსიპ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგების სააგენტო
- ააიპ ახალგაზრდა ფინანსთა და ეკონომისტთა ასოციაცია
- არასამთავრობო ორგანიზაცია "World Vision" International-ის ფილიალი საქართველოში
- საქართველოს თავდაცვის სამინისტრო
- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- ნატოს შესახებ საინფორმაციო ცენტრი
- საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
- ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია - საქართველო
- თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
- სახელმწიფო აუდიტის სამსახური
- ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭო
- სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრი
- სსიპ განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრი
- სახელმწიფო აუდიტის ინსტიტუტი, სახელმწიფო აუდიტის სამსახური
- სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია
- შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
- თსუ-ს დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრი
- საქართველოს ეროვნული ბანკი
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
- EY Georgia
- KPMG Georgia
- PwC Georgia
- Deloitte & Touche
- Adizes Institute

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა
პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის და აკადემიური პერსონალისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის

ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ:

- ✓ სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზები;
- ✓ მშვიდობის კვლევების ინსტიტუტის დარბაზი;
- ✓ კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა;
- ✓ კომპიუტერული კლასები, ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა და სწავლის/სწავლების პროცესის ადეკვატური კომპიუტერული პროგრამები;

საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოებით, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდისმონაცემთა ბაზით და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული ელექტრონული კატალოგით.

უნივერსიტეტის საკუთრებაში და მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების რეალიზაციასა და დაგეგმილი სწავლისშედეგების მიღწევას:

შენობა-ნაგებობანი - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის მფლობელობაში და საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობებში, სადაც დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური და უსაფრთხოების ნორმები (შენობებში დამონტაჟებულია სიგნალიზაცია, არის ცეცხლმაქრები, პერიმეტრზე მიმდინარეობს ვიდეო კონტროლი, წესრიგს იცავს უნივერსიტეტის დაცვის თანამშრომელი). შენობა სრულად პასუხობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის დადგენილ ტექნიკურ მოთხოვნებს, არის სათანადო ტექნიკითა და ინვენტარით (პროექტორი, სკამები, მერხები, დაფები და სხვ.) აღჭურვული სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის განკუთვნილი აუდიტორიები.

ბიბლიოთეკა - უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისთვის (სულ 12 290 ერთეული ბეჭდური და 3192 ერთეული ელექტრონული რესურსი). უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი. ბიბლიოთეკას აქვს სათანადო ინვენტარით (სკამები, მაგიდები, კომპიუტერები) აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი. ბიბლიოთეკაში არის მულტიფუნქციური 1 ასლგადამღები აპარატი, რომლით სარგებლობაც სტუდენტს ბიბლიოთეკის 4 თანამშრომლის დახმარებით შეუძლია. სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და საერთაშორისო ელექტრონული რესურსით:

- ✓ Cambridge Journals Online
- ✓ e-Duke Journals Scholarly Collection
- ✓ Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-book
- ✓ Royal Society Journals Collection
- ✓ Taylor And Francis Online
- ✓ EBSCO Elit package
- ✓ International Security & Counter Terrorism Reference Center

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები - არსებობს აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ლაბორატორია და კომპიუტერული ტექნიკა, რომელიც პასუხობს

თანამედროვე მოთხოვნებს, ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. კომპიუტერები უზრუნველყოფილია შესაბამის პროგრამული ინსტრუმენტებით/აპლიკაციებით. აუდიტორიები და კომპიუტერული კლასები უზრუნველყოფილია ლოკალური ქსელით და ინტერნეტით.
სტუდენტებისთვის შეფასებების ხელმისაწვდომობის, ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კონტროლისა და სასწავლო პროცესის ხელშეწყობისთვის გამოიყენება სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა. უნივერსიტეტის ვებ–გვერდის მეშვეობით, რომელზეც განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, საგანმანათებო პროგრამების განხორციელებასთან და სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული და სხვ. ინფორმაცია, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინფორმაცის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი.
კავკასიის უნივერსიტეტი სადღეისოდ აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერული საშუალებებით, ასლგადამღები აპარატურით (რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილის განახლება მოხდა 2018 წელს). ამჟამად უნივერსიტეტში B და C სართულებზე გაშვებულია შვიდი კომპიუტერული კლასი, დამატებით ორი ასეთი კლასის ორგანიზება დაგეგმილია მიმდინარე წლის ბოლომდე “A” სართულზეც. ასეთი კლასები პერსონალური კომპიუტერით და მულტიმედია პროექტორებით არის დაკომპელქტებული. ასეთი პროექტორებით და კომპიუტერებით აღჭურვილია ყველა აუდიტორია და ბიბლიოთეკა. ადმინისტრაცია და პრაქტიკულად ყველა თანამშრომელი უზრუნველყოფილია კომპიუტერებით და ინტერნეტთან წვდომით. უნივერსიტეტის საკომპიუტერო პარკი 350 ერთეულზე მეტს შეადგენს. ამას ემატება ორგტექნიკა პრინტერების და სკანერების სახით. რამდენიმე ე.წ. „Smart board”, სწრაფქმედი (მაღალი წარმადობის) „კიოსერას“ ფირმის ასლგადამღები აპარატები, აგრეთვე ფერადი ასლგადამღბი დანადგარი „HP MFD” - ტიპის. უნივერსიტეტის მთელ ტერიტორიაზე ხელმისაწვდომია WiFi, ასევე უზრუნველყოფილია სატელეფონო კავშირი IP ტელეფონებით (რისთვისაც შეძენილია 125-ზე მეტი შესაბამისი ტელეფონი). უნივერსიტეტის სასერვეროში მოქმედებს სამი ერთეული თანამედროვე სერვერი, ხოლო მის ტერიტორიაზე დამონტაჟებულია შესაბამისი ქსელური აპარატურა („Cisco”-ს და „Nortel“-ის სვიჩებით, Fortinet-ის NG Firewall-ით, wireless controller და access point-ებით, და ა.შ.), სულ 100-ზე მეტი ამგვარი მოწყობილობით. უნივერსიტეტი ჩართულია გარე ქსელში და აქვს ინტერნეტთან წვდომა 150/150 Mbps ლოკალისა და გლობალ კავშირებზე.
აღნიშნული რესურსი ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის სტუდენტების, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. ყველა დაინტერესებული პირი ინფორმირებულია ხსენებული რესურსის გამოყენების შესაძლებლობისა და მოხმარების წესის შესახებ.

საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამის სტანდარტები	

საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებია:

- საგანმანათლებლო პროგრამის მიზნის, სწავლის შედეგებისა და პროგრამის შესაბამისობა;
- სწავლებისა და კვლევის მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა;
- დოქტორანტის კვლევითი მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა;

- სწავლებისა და კვლევის რესურსებით უზრუნველყოფა;
- სწავლებისა და კვლევის ხარისხის ამაღლების შესაძლებლობები.

საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა
საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო საგანამათლებლო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფისათვის საჭირო თანხები გათვალისწინებულია კავკასიის უნივესიტეტის ბიუჯეტში.

საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამის სასწავლო გეგმა										
№	საგნის კოდი	საგანი	დაშვების წინაპირობა	კრედიტების რაოდენობა	ECTS კრედიტი					
					I წელი		II წელი		III წელი	
					სემესტრი					
					I	II	III	IV	V	VI
სავალდებულო საგნები				**სულ 60**	**15**	**15**	**20**	**10**		
1	RM 7150	კვლევის მეთოდები		5	5					
2	AW 7150	აკადემიური წერა		5	5					
3	MPP 7250	თანამედროვე პოლიტიკური ფილოსოფია		5	5					
4	IRT 7150	საერთაშორისო ურთიერთობების თეორია		10		10				
არჩევითი საგნები										
5	CT 7150	კონფლიქტების მოგვარების თეორიები		5		5				
6	GCFP 7150	დიდი ქვეყნების საგარეო პოლიტიკა		5						
სწავლება და ასისტირება										
7	TM 7250	სწავლების მეთოდები		10			10			
8	TA 8150 TA 8250	სწავლება და ასისტირება I, II		20			10	10		
კვლევითი კომპონენტი										
9	OE 8150	დისერტაციის მომზადება და დაცვა	RM 7150 AW 7150 MPP 7250 IRT 7150							

საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის საათობრივი დატვირთვა

№	საგანი / საათები	ECTS	ლექცია	სემინარი/პრაქტიკული/ლაბორატორიულ კონსულტაცია	დაკვირვება - ვრეზენტაცია	გამოცდა/ საბოლოო დასკვნითი გამოცდა	კონსულტაცია	დამოუკიდებელი მუშაობა, მ.შ. გამოცდებისათვის მზადება
1.	კვლევის მეთოდები	5/125	12	11	2	5	5	95
2.	აკადემიური წერა	5/125	12	11	2	5	5	95
3.	საერთაშორისო ურთიერთობების თეორია	10/250	15	14	2	5	5	214
4.	თანამედროვე პოლიტიკური ფილოსოფია	5/125	12	11	2	5	5	95
5.	დიდი ქვეყნების საგარეო პოლიტიკა	5/125	12	11	2	5	5	95
6.	კონფლიქტების მოგვარების თეორიები	5/125	12	11	2	5	5	95
7.	სწავლება და ასისტირება I, II	20/500	-	100	10	-	5	390
8.	სწავლების მეთოდები	10/250	15	14	2	5	5	214
9.	დისერტაციის მომზადება და დაცვა	-	-	-	-	-	-	-

სწავლის შედეგების რუკა

სემესტრი	კურსის სწავლის შედეგები პროგრამასთან მიმართებაში					
	სასწავლო კურსი / მოდული / პრაქტიკა/კვლევითი კომპონენტი	1. აქვს საერთაშორისოურთიერთობების საქმიანობის დისციპლინების ცოდნა, სისტემური, თეორიული და პრაქტიკული ცოდნა; იცის საერთაშორისო ურთიერთობების საქმიანობის ძირითადი ფორმები და ფაზები; ეცნობა ევროპიერთობების საქმიანობის ფორმებს ამ სფეროსთვის რა ჯამურად ევროპის მეთოდებს.	2. შეუძლია საერთაშორისო ურთიერთობებში არსებული ურთიერთობების ობიექტივიზაცია და ანალიზი; ფლობს ინფორმაციის ძებნის, დამუშავების, გაანალიზების, ინტერპრეტაციის, შეგროვების ელექტრონული ბაზებიდან; ეცნობა ამ ბაზებიის დასაბის მიზნით.	3. აქვს ფილოსოფიური, ეკონომიკური, ეთნოლოგიური, ანალიზისა და სინთეზის ენარი, ეკონომიკის დაფუძვეული ანალიზისა და ინფორმაციის მოპოვების, შეფასების ენარი, ინფორმაციის ეფექტიანი ენარი, ეკონომიკის ენარი, ეკონომიკის ენარი. ეცნობა ეროვნული ეკონომიკის ფუნქციონირებისა და ეფექტიანობის ენარი.	4. შეუძლია პედაგოგიკისა და სწავლების მეთოდების ეფექტიანი მიღწევებზე დაყრდნობით ახალი საკუთარი კურსების მოამზადება და წაკითხვა, რომელიც ეფუძნება საკუთარ ეროვნულ ინტერესებს და ასევე არსებული ცოდნის გადმოცემის და გადაცემის ინოვაციურ, თანამედროვე მეთოდებს.	5. აქვს საერთაშორისოურთიერთობების სპეციალობაში ლიტერატურების ფ ნორმების პატივისცემა ფ მოქმედებს ფ გადწყვეტილებებს ოფს ამ პრინციპების გათვალისწინებით
	სპეციალობის სავალდებულო კომპონენტი					
I	კვლევის მეთოდები			მაღალი	საშუალო	დაბალი
I	აკადემიური წერა			მაღალი	საშუალო	დაბალი
II	თანამედროვე პოლიტიკური ფილოსოფია	მაღალი	დაბალი		საშუალო	

II	საერთაშორისო ურთიერთობების თეორია	მაღალი	დაბალი		საშუალო	
III	სწავლების მეთოდები			დაბალი	მაღალი	საშუალო
III-IV	სწავლება და ასისტირება I, II			საშუალო	მაღალი	დაბალი
III-VI	დისერტაციის მომზადება და დაცვა	დაბალი	საშუალო	მაღალი		
	სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები	**მაღალი**	**საშუალო**		**დაბალი**	

I. პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა

პროგრამის მიზნები / პროგრამის სწავლის შედეგები	1. კურსდამთავრებულთა საერთაშორისო ურთიერთობებში ეფექტურად გამოყენება ინსტიტუციებში კონკრეტული ფონისტიების ბაზაზე გადაწყვეტილებების გასაჯარიდად და დაცვა ინფორმაციის ფლობა ამ სფეროს ინფორმაციის ფლობა ამ ინფორმაციის ეფექტურ ანალიზი;	2. კურსდამთავრებულთა საერთაშორისო ურთიერთობებში ეფექტური მოდელირება და მეთოდების კონკრეტულ ფაქტორებზე ბაზაზე ანალიზი;	3. საერთაშორისო ურთიერთობების ბრობლემატიკის ეფექტიანი ანალიზის, ჯეროვანად გაანალიზების, ბაზაზე ხარისხის, ეფექტურად გაანალიზებადი მიზეზებისა და ნაშრომის შექმნა;	4. მიღებული სიღრმისეული და სისტემური ცოდნის ეფექტურად გამოყენება ინსტიტუციებში კონკრეტული ფონისტიების გასაჯარიდად და ბაზაზე ანალიზის დაფუძნებულ გადაწყვეტილებების მისაღებად, დაცული აუდიტორიებში ინფორმაციის ეფექტურ ანალიზი.
1. ა ქ ვ ს ს ა ე რ თ ა შ ო რ ი ს ო ურთი ე რ თ ო ბ ე ბ ი ს სამეცნიერო დისციპლინის ღ რ მ ა , ს ი ს ტ ე მ ურ ი , თ ე ო რ ი ულ ი და პ რ ა ქ ტ ი კ ულ ი ც ო დ ნ ა ; იცის საერთაშორისო ურთიერთობების სამეცნიერო დისციპლინაში არსებული თანამედროვე თეორიები და ფლობს ამ სფეროსთვის რელევანტურ კვლევის მეთოდებს.	X	X		
2. შეუძლია საერთაშორისო ურთიერთობებში არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და გადაჭრა ნასწავლი თეორიული მიდგომების გამოყენებით; შეუძლია გააცნობიეროს ეროვნული, ან კონკრეტული ინტერესი, შეიმუშაოს ამ ინტერესის დამცველი პოზიცია,		X		X

	გამართოს დისკუსია ამ პოზიციის დაცვის მიზნით.				
3.	აქვს რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზის, სინთეზის და შეფასების უნარი, ინფორმაციის მოპოვების, ანალიზისა და სინთეზის უნარი, კვლევის დაგეგმვისა და განხორციელების უნარი, და პრობლემის ანალიზისთვის შესაბამისი თვისობრივი კვლევის მეთოდის შერჩევის და გამოყენების უნარი. შეუძლია დამოუკიდებლად დაგეგმოს და განახორციელოს ფუნდამენტური კვლევა საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში, მათ შორის საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში გამოქვეყნების მიზნით. შეუძლია საკუთარი კვლევის შედეგების დემონისტრირება.		X	X	
4.	შეუძლია პედაგოგიკისა და სწავლების მეთოდების უახლეს მიღწევებზე დაყრდნობით ახალი სალექციო კურსების მომზადება და წაკითხვა, რომელიც ეფუძნება საკუთარ კვლევით ინტერესებს და ასევე არსებული ცოდნის გაფართოების და გადაცემის ინოვაციურ, თანამედროვე მეთოდებს.		X	X	
5.	აქვს საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობაში ღირებულებებისა და ნორმების პატივისცემა და მოქმედებს და გადაწყვეტილებებს იღებს ამ პრინციპების გათვალისწინებით.				X